

## „კლირები, თავდაჯერებულები, დამოუკიდებლები“

საქართველოში დღესასწაულების აღნიშვნას განსხვავებული, ხანდახან უცნაური ტრადიცია აქვს. უცნაური კი მხოლოდ იმიტომ, რომ ხშირად ამ დღესასწაულის წარმოშობის ისტორია საზოგადოებამ არ იცის და მის მიმართ ზედაპირული დამოკიდებულებით შემოიფარგლება. რა თქმა უნდა, დღესასწაულები, იმიტომ არსებობს, რომ მათ ლამაზი, სიმბოლური, განსაკუთრებული დატვირთვა აქვთ. თუმცა, იმისთვის რომ ერთმანეთისადმი პატივისცემა, ყურადღება, ზრუნვა გამოვხატოთ, განსაკუთრებული დღეების დანერგვა არ გვჭირდება.

ასეთია რვა მარტიც, როგორც ქალთა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მიღწევების აღნიშვნის გლობალური დღესასწაული, რომელიც პირველად 1909 წლის 28 თებერვალს აშშ-ში ამერიკის სოციალისტურმა პარტიამ აღნიშნა. ამ დღეს მომხდარ ისტორიულ მოვლენათა შორის ერთ-ერთი უმთავრესია „ტრაიანგლ შირტუეისტი“ (Triangle Shirtwaist) საფეიქრო ფაბრიკაში მომხდარი ხანძარი (ნოუ-იორკი, 1911), რომელმაც 140-ზე მეტი ქალი იმსხვერპლა. ამ ტრაგედიის შემდეგ მოძრაობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით გახდა ცნობილი. 1975 წელს გაერომაც აღიარა 8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღედ.

### წარმოშობის ისტორია

ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო დღის აღნიშვნის იდეა XX საუკუნის დასაწყისში დაიბადა. სწრაფი მსოფლიო ინდუსტრიალიზაციისა და ეკონომიკური ექსპანსიის ეპოქაში ხშირი იყო მასობრივი პროტესტები მუშათა აუტანელი სამუშაო პირობების გამო. ერთ-ერთი პირვე-

ლი ნიუ-იორკის სამკერვალო ფაბრიკების მუშა-ქალთა გაფიცვა იყო 1857 წლის 8 მარტი. მათი პროტესტი გამოიწვია ძალაზე დაბალმა ხელფასმა და გაუსაძლისმა სამუშაო პირობებმა. ქუჩაში გამოსული, გაფიცული ქალები პოლიციამ დაარბია. 1859 წლის მარტში იმავე ქალებმა დააარსეს პირველი პროფკავშირი.

მომდევნო წლებში 8 მარტს უფრო მეტი და ფართომასშტაბიანი პროტესტი ახლდა. 1908 წელს ნიუ-იორკის ქუჩებში 15 ათასი ქალი გამოვიდა მოკლე სამუშაო დღის, უკეთესი ანაზღაურებისა და არჩევნებში ხმის მიცემის უფლების მოთხოვნით. 1910 წელს, სოციალისტ-ინტერნაციონალმა კოპენჰაგენში პირველი ქალთა საერთაშორისო კონფერენცია ჩაატარა. ამ ყრილობაზე გავლენიანი გერმანელი სოციალისტის, კლარა ცე-

ტკინის ინიციატივით დაფუძნდა ქალთა საერთაშორისო დღე. ქალთა სოლიდარობის სახელით, მომდევნო წლის 8 მარტს მილიონზე მეტი ადამიანი გამოვიდა ავსტრიაში, დანიაში, გერმანიაში და სხვა ქვეყანაში. პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ ქალებმა მთელი ევროპის მასშტაბით მოაწყვეს სამშვიდობო მსვლელობა 1913 წლის 8 მარტს.

1917 წლის რუსეთის რევოლუციის გამოწვევი პირველი ნაპერწკალი გახდა ქალთა საერთაშორისო დღისადმი სოლიდარობის მიზნით ორგანიზებული დემონსტრაცია. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ბოლშევიკმა აღექსანდრა კოლონტაიამ დაითანხმა ლენინი, რომ ეს დღე ოფიციალური დღესასწაული გამხდარიყო, თუმცა ის სამუშაო დღედ ითვლებოდა. 1965 წლის 8 მაისს სსრკ-ის

უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ქალთა საერთაშორისო დღე უქმედ გამოცხადდა „საბჭოთა ქალთა უდიდესი დამსახურების გამო კომუნისტურ აღმშენებლობაში, დიდ სამამულო ომში სამშობლოს დაცვისას ფრონტსა და ზურგში, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისა და მშვიდობისთვის ბრძოლაში“.

### 8 მარტი დღეს

დასავლეთში ქალთა საერთაშორისო დღე 1920-იანი წლების ბოლომდე მასშტაბურად აღინიშნებოდა. თუმცა შემდეგ, კომუნისტურ სოციალიზმის გამო, მისმა პოპულარობამ იკლო. 1960-იან წლებში, ფემინიზმის აღმავლობის უამს, ეს თარიღი ისევ პოპულარული გახდა. 1975 წელი ქალთა საერთაშორისო წლად გამოცხადდა და, ამასთან დაკავშირებით, გაერომ ქალთა საერთაშორისო დღის დაფინანსების ნებართვა გასცა.

2005 წელს ბრიტანეთის პროფკავშირების გაერთიანების კონგრესზე ერთხმად დაუჭირეს მხარი რეზოლუციას ბრიტანეთში ქალთა საერთაშორისო დღის სახალხო დღესასწაულად გამოცხადების შესახებ. ამჟამად არსებული ქალთა უფლებების დაცვის მოძრაობები, ყოველი წლის 8 მარტს, მრავალ ღონისძიებას ატარებს. ქალთა გლობალური ასოციაციის, „ავრორას“ საიტზე შესაძლებელია ადგილობრივ ღონისძიებათა დარეგისტრირება. ეს ხელს უწყობს ქალთა უფლებების დაცვის სფეროში ადგილობრივი მოვლენების მსოფლიო მასშტაბით გაშუქებას. მრავალი ქვეყნის მთავრობა და ბევრი ორგანიზაცია მხარს უჭერს ქალთა საერთაშორისო დღეს.

/გაგრძელება გვ.3/



## ავთანდილ პოპიაშვილის საიუბილეო საღამოზე

5 მარტს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ორგანიზებით, ფილოსოფიისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმოწერის, პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის, დაბადებიდან 80 წლის-თავისადმი მიძღვნილი სხდომა და მისი წიგნების პრეზენტაცია გაიმართა.

ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა და ვრცელად ისაუბრა ავთანდილ პოპიაშვილის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაზე თსუ ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელმა დიმიტრი ჯაბაღიაშვილმა: „ავთანდილ პოპიაშვილის სტუდენტობა და სამეცნიერო მუშაობის ადრეული წლები მიმდინარეობდა ე.წ. „უძრავი ხანაში“. პოპიაშვილი, ჰქონდა რა მძაფრი პროტესტი არსებული სინამდვილის მიმართ, ახალგაზრდობის წლებიდანვე უპირისპირდებოდა მას და ცდილობდა ადამიანის და ეროვნული უფლებების იდეის პროპაგანდირებას, მონაწილეობდა არსებული არაფორმალური ჯგუფების ცხოვრებაში; იგი, შეძლებისდაგვარად, უარს ამბობდა საბჭოთა ხელისუფლებასთან პოლიტიკურ და იდეოლოგიურ თანამშრომლობაზე.

ეს გარემოება აისახა მის ფილოსოფიურ შემოქმედებაზეც. საბჭოთა ეპოქის ფილოსოფოსებისათვის ფილოსოფიის ისტორია წარმოადგენდა ერთადერთ სფეროს, რომელშიც მაქსიმალურად იყო შესაძლებელი იდეოლოგიური კონიუნქტურისათვის თავის არიდება და (რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია!) საერთაშორისო ფილოსოფიურ ტრადიციასთან კავშირის შენარჩუნება. თავისი

### ინდივიდი ჭეშმარიტების ძიებაში

კვლევის საგნად ავთანდილ პოპიაშვილმა შეარჩია სწორედ ის ფილოსოფოსები, რომელთა მიმართაც ინტერესი საბჭოთა ეპოქის ქართულ საზოგადოებაში დიდი იყო, თუმცა კი, ხელმისაწვდომი ლიტერატურა - მცირე. ფიბტიც, კირკეგორიც და ნიცშეც მკვლევარის ყურადღებას იპყრობდნენ იმ მიზეზითაც, რომ სწორედ ამ სამ მოაზროვნესთან შედგება ის ინდივიდის ღირსებისა და ღირებულების ევროპული გაგების საწყისებს.

მისი პირველი კვლევის საგანი იყო გერმანული კლასიკური იდეალიზმის უდიდესი წარმომადგენლის, იოჰან გოტლიბ ფიბტის ფილოსოფიური მემკვიდრეობა - მოაზროვნისა, რომლისთვისაც ადამიანის გაგების პირველ პრინციპებს პიროვნების ღირსება, მისი მალალი და ნიშნულება და თავისუფლების იდეები წარმოადგენდნენ.

ფიბტის ფილოსოფიის კვლევისას პოპიაშვილი თავის ამოცანად მიიჩნევდა იმის გარკვევას, თუ რამ განსაზღვრა კანტის შემდგომ ფილოსოფიაში დიალექტიკური მეთოდის შექმნა და ფიბტის ფილოსოფიის რა ნაწილდებოდა განსაზღვრეს ჰეგელის დიალექტიკური მეთოდის ჩამოყალიბება; რას ნიშნავდა ადამიანის ახალევროპული იდეალის თვალსაზრისით ფიბტის ეთიკური იდეალიზმის სისტემა და როგორ ხდებოდა ამ მოაზროვნესთან ადამიანის თავისუფლების იდეის მანიფესტირება.

ამასთან, ავთანდილ პოპიაშვილისათვის ისიც ცხადი იყო, რომ ფიბტე თავის ნააზრევში ადამიანის აბსტრაქტული იდეის ფარგლებში რჩებოდა. მის ნააზრევში უკვე იგრძნობოდა ის პანლოგიზმი, მთელი სისრულით შემდეგ ჰეგელის ნააზრევში რომ იჩინა თავი, რის გამოც ამ

უკანასკნელს სასრული ინდივიდის უგულებელყოფას სდებდნენ ბრალად. ჰეგელისა და ჰეგელამდელი ახალევროპული ფილოსოფია გამოდიოდა სუბიექტურში ობიექტურის - ზოგადად ადამიანურის - ხედვიდან, რითაც ინდივიდუალური საწყისი ზოგადში იკარგებოდა. ინდივიდის არსებობას სხვა პირობებით არ რჩებოდა, გარდა ზოგადისა. ცალკეული ინდივიდის უნიკალურობა და განუმეორებლობა ზოგადსა და უნივერსალურში იკარგებოდა.

ინდივიდუალური არსებობის რეაბილიტაციის გზათა ძიებისას პოპიაშვილმა სიორედ კირკეგორისა და ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიურ მემკვიდრეობას მიმართა. ეს ეხმარებოდა მაშინდელ საზოგადოებრივ განწყობებსაც. აბსტრაქტული ადამიანისა და კაცობრიობის ბედნიერების კომუნისტური იდეა მთლიანად უგულებელყოფდა ცალკეული ინდივიდის ღირებულებას და მას ზოგადის საშუალებად აქცევდა.

სწორედ ამ ძიებების ნაყოფია ავთანდილ პოპიაშვილის ზემოთ ხსენებული ორი მონოგრაფია, რომლებსაც გამორჩეული ადგილი უკავია ქართული ფილოსოფიის ისტორიულ კვლევებში.

ცალკე უნდა აღინიშნოს ავთანდილ პოპიაშვილის აქტიური მონაწილეობა XX საუკუნის 80-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ის იყო საქართველოს სახალხო ფრონტის თანადამფუძნებელი (1989 წ.), საქართველოს რესპუბლიკის პირველი მონწევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-1991 წწ.).

ავთანდილ პოპიაშვილმა 1991 წლის 9 აპრილს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. წლების განმავლობაში მან მონაწილეობა მიიღო მრავალ დისკუსიასა და პოლე-

მიკაში ქვეყნის განვითარების გზებთან დაკავშირებით“.

ავთანდილ პოპიაშვილი გაიხსენეს მეგობრებმა, სამეცნიერო წრის წარმომადგენლებმა, ოჯახის წევრებმა და მოწვეულმა სტუმრებმა.

ნინო ბენიძეძემ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი: „ავთანდილ პოპიაშვილს სერიოზული ადგილი უკავია ქართული ფილოსოფიური სკოლის ისტორიაში. სტუდენტი ახალგაზრდობის ყოფნა დღევანდელ ღონისძიებაზე ძალიან მნიშვნელოვანია. აქ მოსმენილი ინფორმაცია ბევრი მათგანის მეცნიერული ხედვების ჩამოყალიბებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს“.

პანა ჭიჭიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი: „პირველ რიგში, მადლობა მინდა ვუთხრა დღევანდელი დღის ორგანიზატორებს, აქ იმყოფებიან ბატონი ავთანდილის ოჯახის წევრები. მინდა, მივესალმო მათ და მივულოცო ეს დღე. დღეს მხოლოდ ავთანდილ პოპიაშვილის საიუბილეო საღამო არაა, მისი წიგნების პრეზენტაციაცაა დაგეგმილი. დღეს, როცა უსიყვარულობამ და უმადურობამ დაიპყვიდრა ადგილი ჩვენს ცხოვრებაში, კარგი იქნებოდა, თუ აქ მეტი ინტენსივობით იქნებოდნენ ჩვენი სტუდენტები წარმოდგენილი, რომლებიც ადამიანის ჭეშმარიტ როლზე მოისმენდნენ ავთო პოპიაშვილის ნააზრევს. ავთანდილ პოპიაშვილი ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე იყო. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა, მან დაგვიტოვა საინტერესო მემკვიდრეობა, რომელიც დღეს ერთნაირად სჭირდება უნივერსიტეტსა და საქართველოს“.

/დასასრული მესამე გვერდზე/

# ინფორმაციული სასკოლო პროექტი



ნიმუშები, ფერადი ნახატები პატარა გეომეტრიული ფიგურებით, ორიგამის საოცარი კომპოზიციები, „ვსნავლობთ თამაშით“ პროგრამით შესრულებული შემოქმედებითი დავალებები.

**სნაკვალ თამაში, თუ მას სიყვარულით აკეთებ!**

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლაში II კლასის მოსწავლეებმა კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელ ეკატერინე ჩიტაურთან ერთად განახორციელეს ინტერაქტიული სასკოლო პროექტი - „ზღვა ერთი წვეთით იწყება“.

პროექტის მიზანი იყო ბავშვებისთვის იმის გაცნობიერება, რომ სამყაროში ყველაზე დიდი ცვლილებები ხშირად პატარა ნაბიჯებით იწყება, და რომ სწორედ ამ პატარა წვეთების გაერთიანებით ვეძენთ დიდსა და მნიშვნელოვანს. 1 წვეთს შეუძლია მდინარის კალაპოტის შეცვლა, 1 ასოს - სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა, 1 სიტყვის კი - ადამიანის გულში სიყვარულის გაღვივება.

ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მშობლების აქტიურ ჩართულობას, რადგან მათი მხარდაჭერა და თანადგომა გახდა სწორედ ის მცირე წვეთი, რომელმაც საბოლოოდ დიდი „ზღვა“ შექმნა-შემოქმედების ზღვა!

ხელოვნება და ტექნოლოგიები გაერთიანდა ერთ სივრცეში, სადაც მოსწავლეებმა წარმოუდგენელი შემოქმედებითი უნარები გამოავლინეს: მარცვლეულისა და მცენარეებისგან შექმნილი უნიკალური ხელოვნების

ბავშვებმა აღმოაჩინეს, რომ ხელოვნება ყველგან არის-ფურცელზე, კომპიუტერის ეკრანზე, ბუნებაში, სოფლის მეურნეობაში და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც.

თუმცა ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა მშობელთა აქტიური მხარდაჭერის გარეშე! სწორედ მშობლების ჩართულობამ და თანადგომამ გახდა ეს პროექტი განსაკუთრებულად წარმატებული. მათი თითოეული მცირედი წვლილი გახდა ის მცირე წვეთი, რომელმაც საბოლოოდ უზარმაზარი ზღვა შექმნა - შემოქმედების, სიყვარულისა და ერთიანობის ზღვა! პროექტის დასკვნით ეტაპზე მოსწავლეებმა დიდი სიხარულით წარადგინეს თავიანთი ნამუშევრები. მათი შემოქმედება და მონდობა კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ დიდი ცვლილებები პატარა ნაბიჯებით იწყება!

სკოლის დირექცია მადლობას უხდის მოსწავლეებს, ქალბატონ ეკატერინე ჩიტაურს, ამ შესანიშნავი პროექტის განხორციელებისთვის, მშობლებს-უდიდესი მხარდაჭერისთვის, ხოლო პატარა ხელოვნებს - შრომისა და შემოქმედებითი სულისკვეთებისთვის!

**„ჩვენი მომავალი სწორედ ასეთ წვეთებს ქმნის-წვეთებს, რომლებიც ერთხელაც დიდ ზღვად გადაიქცევა!“** - აცხადებენ სკოლაში.

## ტყის მართვის გეგმის განხილვა



4 მარტს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენლებმა დედოფლისწყაროში სამიზნე აუდიტორიასთან და დაინტერესებულ პირებთან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტყის მართვის გეგმის პროექტის საჯარო განხილვა გამართეს. შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი დაესწრო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელდა. ტყის მართვის გეგმის პროექტი ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობის, ბიოლოგიური მრავალფეროვნების, გარემოს უნიკალური და მონელებადი ეკოსისტემების, ლანდშაფტების და „ნივთი ნუსხით“ დაცული მცენარეების და ცხოველების დაცვის გაუმჯობესების და სხვა ღონისძიებებს მოიცავს.

## მიწისძვრები დედოფლისწყაროში

გასულ კვირას მიწისძვრის ორი შემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროში. 1 მარტს დილით 3:12 საათზე 3,2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა იყო დედოფლისწყაროში. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებთან ცენტრის ცნობით, ბიძგები ქალაქ დედოფლისწყაროდან ჩრდილო დასავლეთით, 5 კილომეტრში იყო. ეპიცენტრი სოფელ ხირსაში, 10 კმ სიღრმეზე.

თანახმად მიწისქვეშა ბიძგები დაფიქსირდა ქალაქ დედოფლისწყაროდან ჩრდილოეთით, 6 კილომეტრში, ყარაღაჯიდან 1 კმ-ში და 16 კმ სიღრმეზე. ოფიციალური მონაცემების თანახმად, წელს ეს მცირე კატეგორიის მიწისძვრების პირველი შემთხვევებია. დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე ბოლო მიწისძვრა 3 მაგნიტუდის სიმძლავრით გასული წლის 29 ივლისს დაფიქსირდა. ბიძგები სოფელ ჭოეთთან 3 კილომეტრში და ქალაქ დედოფლისწყაროდან 5 კმ-ში შეინიშნებოდა. **შირაქი**

## სასწრაფო დახმარების გამოძახების რამდენი ზარი ფიქსირდება დედოფლისწყაროში?

დედოფლისწყაროდან 112-ში ბოლო ორი წლის განმავლობაში სასწრაფო სამედიცინო სამსახურის გამოძახების მოთხოვნით 10 ათასამდე შეტყობინება შევიდა. იყო ცრუ ზარებიც — ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრიდან აცნობეს. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი თინათინ გურამიშვილი კონკრეტულ ციფრებსაც გვანდის. როგორც საგანგებო სიტუაციების

კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში განმარტავენ, 2023-24 წლების განმავლობაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მასშტაბით სასწრაფო სამედიცინო მომსახურების შესახებ შესულია სულ 9 381 შეტყობინება. ცენტრის მიერ რეაგირება განხორციელდა ყველა შეტყობინებაზე. თუმცა, უშუალოდ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გაენია 8 953 პაციენტს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 428 სატელეფონო შეტყობინება მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როგორცაა ცრუ, ან თავად პაციენტის მიერ გაუქმებული გამოძახებები. **შირაქი**

# მერმა ქალთა დღე მიულოცა



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა 3 მარტს დედის დღე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გიორგი აბიათარის დედას, ელისაბედ აბიათარს მიულოცა და გმირი შვილის აღზრდისთვის მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა. ტრადიციულად, ამ დღეს მერი გმირების დედებს ყოველწლიურად ხვდება.

ლობიან საქართველოში ცხოვრებას — განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

გიორგი აბიათარი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს შეენირა. ის სოფელ სამრეკლოს სასაფლაოზე დაკრძალული.

7 მარტს კი ნიკოლოზ ჯანიაშვილმა თვითმმართველობაში დასაქმებულ ქალბატონებს ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა და პროფესიული და პირადი წარმატებები უსურვა.

„სამრეკლოში მცხოვრებმა ელისაბედ აბიათარმა ერთადერთი შვილი სამშობლოს ერთიანობას შესწირა. გიორგი მხოლოდ 18 წლის იყო. ის სხვა გმირებთან ერთად ჩვენი მუნიციპალიტეტის და ქვეყნის სიამაყეა. ვალდებულები ვართ, არასოდეს დავივიწყოთ გმირები და დავაფასოთ მათი ღირსეულად აღზრდელი დედები. ყველა დედას ვულოცავ დედის დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ერთიან და მშვი-



## ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში

4 მარტს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის ხელმძღვანელობით სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

თათბორზე მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა შოთა ლოლაშვილმა განუხილა მუშაობის შესახებ ანგარიში წარადგინა და 2025 წელს დაგეგმილ ღონისძიებებზე ისაუბრა.

შეხვედრას მერის მოადგილეები, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

## 9 დაკბენილი ადამიანი გასულ თვეში

თებერვლის თვის განმავლობაში დედოფლისწყაროში ადამიანის დაკბენის 9 შემთხვევა დაფიქსირდა. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ სურსათის ეროვნული სააგენტოს დედოფლისწყაროს ფილიალიდან აცნობეს. მათი განმარტებით, ეს არ არის მალალი მაჩვენებელი, რადგან სხვა თვეებში დედოფლისწყაროს მასშტაბით ორჯერ უფრო მეტი შემთხვევა აღირიცხება.

სა, მეთვალყურეობა წესდება ცხოველზეც, რადგან მისი სიკვდილი ცოფის დადასტურების წინაპირობაა.

„ბავშვის დაკბენის შესახებ ინფორმაცია არხილოსკალოს ფილიალიდან მივიღეთ, მეორე დღესვე ჩავერთეთ. ჩამოვიდნენ გურჯაანის ცხოველთა თავმჯდომარის სპეციალისტები და ძაღლი, რომელმაც ბავშვი დაკბინა დაკვირვებისთვის გურჯაანში გადაიყვანეს. გავიდა დადგენილი ვადა და ძაღლი ცოცხალია, რაც იმას ნიშნავს, რომ ცოფი არ დადასტურდა. ცხოველი ახლა ისევ თავმჯდომარეში რჩება. სპეციალისტები მას დაამუშავებენ და გადაწყვეტენ როდის, ან სად გადაიყვანენ ძაღლს. ბავშვმა აცრები ჩაიტარა. საერთოდ, დაკბენის შემთხვევაში თუ ძაღლი უპატრონოა, ან დაიკარგა, მაშინ დაკბენილ პირს სრული კურსი უტარდება, თუ პატრონი ჰყავს 10 დღიანი ზედამხედველობა წესდება ცხოველზე.“ - აცხადებს ეთერ იაკობიშვილი. **შირაქი**

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გასულ თვეში სოფელ ქვემო ქედში ძაღლმა რაფალიანცების ოჯახის მცირეწლოვანი ბავშვი დაკბინა. ქვემო ქედში ამბობენ, რომ დაზარალებული სკოლის მოსწავლეა. ამავე სოფელში დაკბენილია 50 წლამდე მამაკაციც.

სურსათის სააგენტოს უფროსი ინსპექტორი დედოფლისწყაროში ეთერ იაკობიშვილი „შირაქს“ ეუბნება, რომ ყველა შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება ხორციელდება, გარდა პაციენტი-

## ბრუცელოზის ორი შემთხვევა

წელს ბრუცელოზის მეორე შემთხვევა დადასტურდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. თუმცა, ინფექციური დაავადება მხოლოდ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში გამოვლინდა და არა ადამიანებში.

მი იყო, ტაველურაშვილების ოჯახმა თავადვე მიმართა ლაბორატორიას. ანალიზი შეისწავლა გურჯაანის ლაბორატორიამ, სადაც დადასტურდა ბრუცელოზი. ამის შემდეგ, დაავადებული პირუტყვი შესაბამისი წესით დაიკლა. სპეციალისტებმა შეამოწმეს სხვა საქონელიც. მეორე შემთხვევა ტარიბანაში მდებარე საქონლის ერთ-ერთ ფერმაში იყო. აზერმაჯანელი ეროვნების მოქალაქეთა კუთვნილი პირუტყვის დაუდასტურდა. ამ შემთხვევაშიც შესაბამისი ზომები გატარდა, - აღნიშნავს ეთერ იაკობიშვილი.

როგორც გაზეთ „შირაქს“ სურსათის ეროვნული სააგენტოს დედოფლისწყაროს ფილიალიდან აცნობეს, პირველი შემთხვევა სოფელ სამრეკლოში გამოვლინდა, მეორე კი ტარიბანაში, ერთ-ერთ მცირეწლოვან ფერმაში. სურსათის სააგენტოს დედოფლისწყაროს უფროსი ინსპექტორი ეთერ იაკობიშვილი ამბობს, რომ პირუტყვი შესაბამისი წესით დაიკლა.

„ჩვენ ადამიანების დაინფიცირების შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს. მხოლოდ შემთხვევა დაავადებული რქოსან პირუტყვში ბრუცელოზის დადასტურების ორი შემთხვევა. 2025 წელს პირველი შემთხვევა სოფელ სამრეკლო-

მისი განმარტებით, გასულ წელს დედოფლისწყაროში ბრუცელოზით ადამიანის ინფიცირების შემთხვევა იყო. საქონლიდან ადამიანის დაინფიცირება სოფელ ზემო მაჩხანაში დაფიქსირდა. საბედნიეროდ, წელს ადამიანზე გავრცელების ფაქტი არ გამოვლენილა. **შირაქი**

# ავთანდილ პოპიაშვილი — ინდივიდი ქაზმარიაზის ქიზაში

/პირველი გვერდიდან/

**გიორგი ალიბაგაშვილი, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი:** „სამწუხაროდ, მე ბატონ ავთანდილს არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცნობდი-ეს ფილოსოფიური მეტაფორაა, რომელიც სწორედ ავთანდილ პოპიაშვილს შეეფერება. ჩვენ ბევრი საერთო მეგობარი გვყავდა. რამდენადაც მსმენია, ის გამორჩეული იყო დიდი ადამიანობით, გამორჩეული ინტელიგენტობით და ქართული სულით. ფილოსოფიური აზროვნება, მოგვსხვებათ, საქართველოსთვის უცხო არ არის. ავთანდილ პოპიაშვილის ფილოსოფიისთვის ამოსავალი იყო ადამიანი. ადამიანი არის თავის უფალი, ცალ-ცალკე ვიტყვი ამ სიტყვას, და ამ სიტყვიდან გამომდინარე ქადაგებდა ავთანდილი თავის საქციელს - თავის შეცოდებასაც და მართლად გადადგმულ ნაბიჯებსაც. ავთანდილ პოპიაშვილი ერთნაირად ემსახურებოდა საყვარელ მეცნიერებასაც და სამშობლოსაც. დიდი პატივისცემა მინდა გამოვხატო მისი ოჯახის წევრების მისამართითაც და აღვნიშნო მეუღლის-ნაირა ბეპიევის როლი ქართულ-ოსური ურთიერთობების საკითხებში.“

**ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი:** „ბედნიერი ვარ, რადგან მშობლიურ უნივერსიტეტში ვესწრები ჩვენი მუნიციპალიტეტის საამაყო შვილის, პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის საიუბილეო საღამოს. სამწუხაროდ, მე ბატონ ავთანდილს არ ვიცნობდი, მაგრამ საკმაოდ კარგად ვიცნობ მისი ოჯახის წევრს, მის დას, ნათელა პოპიაშვილს, რომელიც ჩემი პირველი მასწავლებელია. მას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის არა მარტო ჩემი, არამედ მრავალი თაობის აღზრდის საქმეში.“

საამაყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე ბატონი ავთო მონინავეთა რიგებში იდგა, მას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე აქვს ხელი მონერლი და, ამასთანავე, ქართული ფილოსოფიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მე მიხარია, რომ მისი მშობლიური-სოფელ გამარჯვე-

**ავთანდილ პოპიაშვილი (1944 წლის 5 მარტი - 1998 წლის 15 თებერვალი) დაიბადა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებაში; 1962-1964 წლებში სწავლობდა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში; შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1970 წელს; 1970-1975 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის უმცროსი, 1975-1982 წლებში უფროსი, ხოლო 1982-1998 წლებში წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. 1986-1990 წლებში იყო იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური კოლეჯის პრორექტორი.**

**1977-1997 წლებში პოპიაშვილი კითხულობდა ფილოსოფიის ისტორიის სალექციო კურსებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში; 1974 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ფიზიკის ეთიკური იდეალიზმის კრიტიკისათვის“, ხოლო 1988 წელს კი სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ინდივიდის პრობლემა სიორენ კირკეგორისა და ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიაში“.**

**1976 წელს ავთანდილ პოპიაშვილმა გამოსცა მონოგრაფია „ფიზიკის ეთიკური იდეალიზმის კრიტიკისათვის“, ხოლო 1988 წელს კი მონოგრაფია „ინდივიდის პრობლემა ს. კირკეგორისა და ფ. ნიცშეს ფილოსოფიაში“.**

ბის საჯარო სკოლა მის სახელს ატარებს. მიმაჩნია, რომ ბატონი ავთანდილ პოპიაშვილის სახელის პოპულარიზაციისთვის გაცილებით მეტი უნდა გაკეთდეს და ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობამ მეტი უნდა შეიტყოს მის შესახებ. აქვე დავანონსებ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, 26 მაისს, დედოფლისწყაროში გაიმართება ავთანდილ პოპიაშვილზე გადაღებული ფილმის ჩვენება“.

მეუღლემ, **ნაირა ბეპიევა**, ისაუბრა ავთანდილ პოპიაშვილზე, როგორც სანიშნო მეუღლეზე და მამაზე. გაიხსენა მათი ოჯახური თანაცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები, შემდეგ კი საზოგადოებას გააცნო აკადემიკოს გურამ თევზაძისა და ნოდარ ნათაძის შეფასებები მისი, როგორც ქართული ფილოსოფიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის შესახებ. „მისი ნაადრევად წასვლა მნიშვნელოვანი დანაკლისია ქართული ფილოსოფიური წრისთვის და

ამ ცარიელ ადგილს ვერავინ ამოავსებს“-წერდა გურამ თევზაძე ერთ-ერთ მონოგრაფიაში. შვილმა, ფილოსოფიის დოქტორმა, პროფესორმა ნინო პოპიაშვილმა გაიხსენა მამა და აღნიშნა, რომ ადამიანურ ღირებულებებთან ერთად სწორედ მან შეაყვარა შვილებს სამშობლო. „ის ხშირად იმეორებდა ხოლმე ვაჟა-ფშაველას ციტატას: „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლეო“ და განმარტავდა, რომ თუკი მისი ქვეყანა იქნებოდა ბედნიერი, მაშინ შვილებიც და ოჯახის წევრებიც ბედნიერები იქნებოდნენ“- იხსენებენ ოჯახის წევრები.

„ბავშვობიდან გამორჩეული იყო, როგორც გონიერებით, ასევე ადამიანური თვისებებით. ბოლომდე ასეთად დარჩა-ის ყოველთვის დიდი ბავშვი იყო, კეთილი და დიდბუნოვანი“-ამბობს მისი და, ნათელა პოპიაშვილი. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ასევე ფილმის-„ინდივიდი ჭეშმარიტების ძიებაში — ავთანდილ პოპიაშვილი 80“ ჩვენება (რეჟისორი ნინო გელოვანი).

ჩემი პირველი შეხვედრა ავთანდილ პოპიაშვილთან 1989 წელს მოხდა. მაშინ ეროვნული მოძრაობა ახლად ფეხადგმული იყო და 15-16 წლის ახალგაზრდებიც პოლიტიკურად ანგაჟირებული ვიყავით, ალტკინებულები საქართველოს თავისუფლების იდეით. ავთანდილ პოპიაშვილი მაშინ „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ წევრი იყო და ეროვნული მოძრაობის



ერთ-ერთი ფლაგმანი. მათ სიტყვებსა და იდეებს ახალგაზრდები დიდი ინტერესით ვუსმენდით და ვიზიარებდით. რამდენიმე წელიწადში კი უკვე სტუდენტის რანგში შევხვდი ბატონ ავთანდილს. „ინდივიდის პრობლემა კირკეგორისა და ნიცშეს ფილოსოფიაში“- მის ნაშრომს ვსწავლობდით და განვიხილავდით. ეგზისტენციალიზმი ჩვენთვის უკვე ნაცნობი თემა იყო და ძალიან მოდურად იყო. ფილოსოფიური საკითხების მიღმა კი ჩვენ და ბატონი ლექტორი დიდი მეგობრები ვიყავით. არ არსებობდა ჩვენთვის წყალგამყოფი - ის პროფესორი და ჩვენ სტუდენტები. ვსაუბრობდით ჩვეულებრივ, ყოფით საკითხებზეც და მათ ხშირად ფილოსოფიურ ჭრილშიც განვიხილავდით. და მიუხედავად იმისა, რომ მე დღეს უფრო სტიკაში ვარ, მაღლობელი ვარ ავთანდილ პოპიაშვილის და თითოეული ლექტორის, რომლებმაც ღრმა აზროვნების გარდა მასწავლეს, რომ სამყაროს ამოსავალი წერტილი ადამიანია და პიროვნული თავისუფლება მთავარდება იქ, სადაც შენი „ალტერ ეგო“ იმარჯვებს.

✍ ინგა შიოლაშვილი



## „ძლიერები, თავდაჯერებულები, დამოუკიდებლები...“

/პირველი გვერდიდან/ გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა რა დატვირთვა აქვს ქალებისთვის, გონებისთვის ამ დღეს და რას უსურვებენ ისინი ქალებს რვა მარტთან დაკავშირებით.

**თამარი, 35 წლის:** „ჩემი აზრით, კლარა ცეტნიკი ჭკვიანი ქალი იყო, რადგან ქალებს დღე დაუნესა, დღე, როდესაც ქალთა უფლებები კიდევ უფრო წინ არის ხოლმე წამოწეული. ეს დღესასწაული შექმნა იმისთვის, რომ ერთხელ მაინც ეცათ ქალებისთვის პატივი ქმრებს, მეგობრებს, შეყვარებულებს და ასე შემდეგ. მაგრამ, ჩემი აზრით, სულ ქალის, დედის სიყვარულის დღეა. სწორედ ამიტომ, ჩემთვის არანაირი დატვირთვა არ აქვს ამ დღეს. რამდენადაც ინფორმირებული ვარ, ნელ-ნელა ქალებს ენიჭებათ უფლებები ისეთ სახელმწიფოებშიც კი, რომლებშიც ცხოველებს უფრო მეტი დაფასება ჰქონდათ, ვიდრე ქალებს. 70% აღარ უყურებს ქალს როგორც ნივთს და აღიქვამს როგორც ადამიანს. ეს არის ჩვენი ეპოქის პროგრესის შედეგი, თუმცა, დარჩენილია ისეთი სახელმწიფოები, სადაც ქალები კიდევ იბრძვიან თავიანთი უფლებებისთვის. პროგრესი ნამდვილია შესამჩნევია. ასე ხდება როგორც ცივილურ და პროგრესულ ადამიანებში, ისე სახელმწიფოშიც. სახელმწიფო ხომ ადამიანების მიერ იმართება. შესაბამისად, ადამიანი თუ განათლებული და ცივილურია, შესაბამისია სახელმწიფოც. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ამ მხრივ ჯერ კიდევ სერიოზული პრობლემებია. ეს დღე, ვფიქრობ, ცნობიერების ამაღ-

ლებში საზოგადოებას განსაკუთრებულად ვერ ეხმარება, რადგან თუ ადამიანი განათლებულია და აცნობიერებს ბევრ რამეს, ისედაც იცის, რომ ქალი უნდა დაფასოს და თუ ამას ვერ ხვდება, ვერც 3, ვერც 8 მარტი, 14 თებერვალი ვერ დაეხმარება ამაში. ასე რომ, არ აქვს რიცხვს და თვეს მნიშვნელობა. ქალებს ვუსურვებ: საკუთარი თავის და შესაძლებლობების რწმენას, რადგან ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს, მითუმეტეს ქალისას. ვუსურვებ ყოფილიყვენ წარმატებულები თავის საქმეში, მიზანდასახულები, ეპოვით საკუთარი ბედნიერება იქ, სადაც თავს კარგად იგრძნობენ მომავალში. რაც მთავარია, არასდროს დახუჭონ თვალი ნებისმიერი სახის ძალადობაზე, ნებისმიერი ადამიანის მხრიდან, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური. წარმატებები ყველა ქალს“.

**ნატა, 35 წლის:** „ამ დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალებს და მათ გრძნობებს მამაკაცების მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცი ყოველდღე უნდა ფიქრობდეს ქალის ემოციებზე, ამ დღეს განსაკუთრებით უნდა ზრუნავდნენ, რადგან ქალებს სწორედ რვა მარტს აქვთ ხოლმე სასიამოვნო მოლოდინები საყვარელი მამაკაცისგან. ვფიქრობ, ბოლოს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე პროგრესი არ გვაქვს ქალთა უფლებების მხრივ. კანონში კი შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, მაგრამ აღსრულების მხრივ ძალიან დიდი პრობლემებია. ქალებს ვეტყვი, რამდენადაც ოჯახს აქცევენ ყურადღე-

ბას, უფრო ყურადღებიანები იყვენ საკუთარი თავის მიმართ. ოჯახში მოვალეობები ყველამ თანაბრად უნდა განაწილოს, ამავედროულად, ყველა უნდა ზრუნავდეს გარეგნობასა და საკუთარი თავის განვითარებაზე“.

**ქაიტი, 32 წლის:** „ჩემთვის, 8 მარტი ყვავილებთან და საჩუქრებთან უფრო ასოცირდება, ვიდრე მის თავდაპირველ იდეასთან. თუმცა, არ ვფიქრობ, რომ საქართველოში ქალები შეზღუდულები ვართ რომელიმე კუთხით. მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში კი, რიგ სფეროებში ჯერ კიდევ რჩება გადაუჭრელი პრობლემები. რას ვეტყვი ქალებს? ქალებს ვეტყვი, რომ არავის და არაფრის გამო არ თქვან უარი იმის კეთებაზე, რაც უყვართ. განვითარდნენ საყვარელ საქმიანობაში, რადგან თვითგანვითარება გვეხმარება, ვიყოთ უფრო ძლიერები, თავდაჯერებულები და დამოუკიდებლები“.

**ნინო, 17 წლის:** „რვა მარტი, როგორც მოგვსხვებათ, ქალების დღეა, სიყვარულისა და პატივისცემის დღე-სასწაული. ეს დღე გვახსენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს ვასრულებთ ჩვენ, ქალები, ამ სამყაროში. ის ასევე გვახსენებს, რომ თითოეულ ქალს უნდა ჰქონდეს თავისუფლება, შეუზღუდავი შესაძლებლობები და ის პატივისცემა, რომელსაც იმსახურებენ. ჩემი აზრით, ქალთა უფლებების მხრივ სიტუაცია დროთა განმავლობაში გაუმჯობესდა, თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა რჩება. მაგალითად, ავღანეთსა და ირანში ქალები დღემდე მძიმე პირობებში ცხოვრობენ.“

მათ აკრძალა განათლების მიღება, მუშაობა და საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვა. შიჯაბის ტარება სავალდებულოა და, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ თვალები უნდა უჩანდეთ. მათ პროტესტის გამოხატვის უფლებაც კი არ აქვთ. ასეთ ქვეყნებში ქალები ყოველდღიურად იბრძვიან თავისუფლებისთვის. ქალებს ვეტყვი, რომ მართალია მათ საკმაოდ ბევრს გადატანა უწევთ, საკუთარი თავისთვის ბრძოლა და ა.შ. მაგრამ, ვფიქრობ, რომ მალე ესეც შეიცვლება და, საბოლოოდ, ისინი დაიმსახურებენ იმ პატივისცემას, რომელიც ეკუთვნით. ქალთა დღეს ვულოცავ ყველას“.

თანამედროვე საზოგადოებებში ქალთა საერთაშორისო დღე ხშირად აღინიშნება როგორც თაობათა წინსვლისა და ცვლილებების დღე, რომელიც შეგვახსენებს, რომ თანასწორობისკენ მიმავალი გზა ჯერ კიდევ „ეკლიანია“. აქტივისტები ამბობენ, რომ ეს დღე ქალთა უფლებების მიმართულეების დღეა. ამავე დროს, ეს დღე აგზავნის საყოველთაო გზავნილს, რომ მსოფლიოში ქალების უზარმაზარი ნაწილი დღემდე მოკლებულია თანაბარ უფლებებს, თუნდაც ისეთ ძირითად უფლებებსაც კი, როგორც წერა-კითხვის სწავლაა.

**გაზეთი „შირაქი“ ულოცავს ყველა ქალს ამ დღესასწაულს. უსურვებს წინსვლას, განვითარებას, საკუთარი თავის პოვნას, ბედნიერ და დიმიდობის სავსე ცხოვრებას. თქვენ ამას ნამდვილად იმსახურებთ!**

მომამზადა


✍ შუშუნა ყანაშვილი

დედოფლისწყაროს საზღვრის-პირა სოფელ სამთაწყაროში, სადაც ქრისტიანული ტაძარი არასოდეს ყოფილა, ეკლესიის მშენებლობა მიმდინარეობს. როგორც სოფელ სამთაწყაროში გაზეთ „შირაქს“ უყვებიან, ეკლესია ქეთევან დედოფლის სახელობის იქნება. მისი საძირკველი 2020 წლის 29 სექტემბერს მეუფე დიმიტრი კაპანაძემ აკურთხა. ადგილი კი წლების წინ დედოფლისწყაროში სტუმრად მყოფმა უწმინდესმა თავად შეარჩია.

უკვე 10 წელია სამთაწყაროს მამათა მონასტერს წინამძღოლობს მღვდელ-მონაზონი იაკობი, რომელსაც

ხე, ადგილობრივების ყველაზე საყვარელი ადგილი მოინახულა და აკურთხა. ინგილო კაცმა, იბრაგიმ მამედოვმა პატრიარქის ლოცვა-ურთხევით აღიდგინა მამა-პაპური გვარი მამულაშვილი“. იმავე დღეებში „შირაქმა“ დაბეჭდა კონსტანტინე კობრიძის ფოტორეპორტაჟი პატრიარქის წითელწყაროში სტუმრობის შესახებ, მაგრამ აქ სამთაწყაროს კადრი არ მოიპოვება.“

სამთაწყაროში ილია მეორე 1989 წლის 8-9 ივლისს ჩაბრძანდა. ამ მოვლენის ამსახველი ფოტოები სოფლის კულტურის მუშაკს ნოდარ შაინიძეს საგულდაგულოდ აქვს შეინახული, თუმცა უცნობია ვინაა ფოტოების ავტორი.



ვისი გადაღებულია, ზედ არც თარიღებია მითითებული, მაგრამ მაშინვე ვთხოვე მოქალაქეებს, რომ აჯობებდა, თუ ამ ისტორიულ კადრებს კულტურის სახლი შეინახავდა და დაცული იქნებოდა. მას შემდეგ ასე ვინახავ“.

ტაძრის წინამძღოლი **ილუშენი იაკობი** გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ ეკლესიის მშენებლობა მონასტრის ძალეებით, შემონიშნულობებითა და მოქალაქეთა ფიზიკური დახმარებით გრძელდება.

„ეს ადგილი 1989 წელს დედოფლისწყაროში სტუმრად მყოფმა უწმინდესმა შეარჩია. ცნობილია, რომ ილია II სოფელ სამთაწყაროსაც ეწვია და ამ ადგილას ჯვარი აღიმართა, უთქვამს, ტაძარი აქ აშენდესო.“

გზითაც შემოგვაშველეს. ძირითადად ჩვენი თანხებით. ჩვენი ადგილზე ვანარმობთ ვენახის ბეტონის ბოძებს და ძირითადად აქედან შემოსულ თანხას ვიყენებთ. სოფელიც გვერდში გვიდგას, ვისაც რა შეუძლია, ჩართულია ამ საქმეში. საშენი მასალით კომპანია „არნივის ხეობა“, ბატონი გელა ბილიაშვილი გვეხმარება, ასევე ბატონი ვახტანგ კიკლაშვილი. პირველ რიგში მადლობა ყველას გვერდში დგომისთვის. მახარებს ის, რომ ადამიანებში ჯერ კიდევ დიდი ერთობა და სიყვარულია.

რაც შეეხება ამჟამად მიმდინარე სამუშაოებს, შავი კარკასი უკვე დავასრულეთ. ახლა გარე ფასადის მოპირკეთება და შიდა სამუშაოები დარჩა. იმედი გვაქვს, ერთობით და მრევლის მხარდაჭერით სამუშაოების დასრულებას მალე შევძლებთ და ამ მნიშვნელოვან ადგილზე ახალი ტაძარი ამოქმედდება.“

ხარისხი აუმაღლდა და ილუმენის წოდება მიიღო. წმინდა ნინოს სახელობის სამლოცველო სახლში თავდაპირველად დეკანოზი ზაქარია ყველაშვილი მსახურობდა, 2014 წლიდან დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე, ხოლო 2015 წელს მეუფე დიმიტრის გადაწყვეტილებით, აქ სამთაწყაროს მამათა მონასტერი დაფუძნდა და მის წინამძღოლად ილუმენი იაკობი დაინიშნა.



„მართლმადიდებელ და მუსულმანებს შორის იყო დაპირისპირება, მაგრამ ვითარება მალევე დამშვიდდა. ისინი მრავალი წელია ერთად ცხოვრობენ, როგორც აჭარელი, ისე ინგილო მოსახლეობა, ამიტომ მათ შორის საკმაოდ კარგი ურთიერთობებია ჩამოყალიბებული. ჩემი სოფლიდან წამოსვლის დროს გაზრდილი იყო მრევლის რაოდენობა, ბევრი მოინათლა, დადებით ცვლილებებს ნამდვილად ვხედავდი. საოცარი სიყვარულითა და სითბოთი მხვდებოდნენ, თავდაპირველად სამლოცველოში რთული ვითარება

შერეტიდან და აჭარიდან გადმოსახლებული ეკომიგრანტებით გაშენებულ დედოფლისწყაროს საზღვრის-პირა სოფელ სამთაწყაროში რწმენის განმტკიცების საკითხი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას იძენდა, თუმცა ამ დრომდე აქ მართლმადიდებლური ტაძარი არ ყოფილა. 1986 წლიდან სოფელში ადგილობრივების ინიციატივით წმინდა გიორგის სახელობის მცირე ნიში აიგო, სადაც ადგილობრივი ქრისტიანები ლოცვას და სანთლის ანთებას შეძლებდნენ. ეს ერთადერთი ადგილი იყო, სადა ეპარქია სამთაწყაროში სამლოცველო სახლს გახსნიდა.

**ნოდარ შაინიძე (ქორეოგრაფი):**  
„სადაც ახლა სამლოცველო სახლი მოქმედებს, ეს თავდაპირველად ბაღის შენობა იყო. წლების წინ სამთაწყაროში ორი საბავშვო ბაღი იყო, მაგრამ მიგრაციის პრობლემის წამოჭრის შემდეგ კონტიგენტის სიმცირის გამო საჭიროება არ იყო და ეს ბაღი გაუქმდა. გამოთავისუფლებული შენობის აღმოსავლეთ ნაწილში კულტურის სახლი შეიყვანეს, დასავლეთ ნაწილი კი მოგვიანებით ეკლესიას გადაეცა და სამლოცველო მოეწყო. ეს ფოტოები წლების წინ ხელში ჩამივარდა. ვერ გეტყვით



პატრიარქის სტუმრობის შესახებ გაზეთი „შირაქი“ წერდა:  
„არხილოსკალოდან სტუმრები და პატრიარქი გაემართა სამთაწყაროსკენ, სადაც უწმინდესი სოფლის მშრომელებს შეხვდა და აკურთხა ადგილი, სადაც ადგილობრივებისთვის ქართული, ქრისტიანული ეკლესია აშენდება. სამთაწყაროდან არხილოსკალოში მიმავალმა ილია მეორემ გზად ასწლოვანი ჩინარის



ახალ ეკლესიას ქეთევან დედოფლის სახელზე ვაგებდით. მეუფე დიმიტრი სამთაწყაროში ჩამობრძანდა და საძირკველი სწორედ მან აკურთხა.

კოვიდპანდემიის დროს დავინწყეთ სამშენებლო სამუშაოები და ნელ-ნელა წინ მივიწვეთ. ტუფის დიდი ქვები არხილოსკალოდან ჩამოვიტანეთ. ნიკოლოზ ბენიაიძემ შემოგვწირა. სხვა ბევრი კომპანია თუ ფიზიკური პირიც გვერდით დაგვიდგა, სხვადასხვა სამშენებლო მასალები შემოგვწირეს, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი საქმე იყო. საქველმოქმედო კონცერტებიც ჩატარდა და გარკვეული თანხა ამ

დამხვდა. შენობაში ჩამოდიოდა წვიმის წყალი, თუმცა კეთილი ადამიანების თანადგომით შემონიშნულობებით შევძელით გაკეთება. მოეწყო საცხოვრებელიც და შესაძლებელი გახდა მონასტერს ეარსება“.

**ილია მარტყოფლიშვილი**

**სამთაწყაროს მშენებარე ტაძრისთვის შემონიშნულობის მსურველებს შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი საბანკო ანგარიშებით:**

**GE68LB02114016349000**  
ლიბერთი

**GE27BG000000533975527**  
საქართველო

**GE14TB7219745068100030**  
თიბისი. მიმღები: იაკობ ჩაგუნავა.

პატრიარქი სამთაწყაროში

# «არ არსებობს ამაზე კვირფასი ხელოვნება»

**ჩვენს გვერდით ცხოვრობს ქალი, რომელიც უკანასკნელ კაპიკებს ოპერაში ნასახვლელად დახარჯავს, მაგრამ სულიერ სიამოვნებას არ მოიკლებს... მიიჩნევს, რომ სულიერი საზრდო ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე მატერიალური... მისი წოდებების მცირე ჩამონათვალი ასეთია: პრეზიდენტის ლირების ორდენი, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე, კულტურის ქომაგი, დამსახურებული უფროსი, კულტურის ამბადარი, ზ. ანჯაფარიძის სახელობის ოქროს მედალი, ასევე ფლობს თამარიონის ენდოლმას, რომელიც მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაცვალა გონაშვილმა ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის მიანიჭა. მისი ჯილდოების ჩამოთვლა შორს წავიყვანს, ამიტომ, თქვენს წინაშე დედოფლისწყაროს კოლორიტი, ნანა ჭიჭინაძე.**

**ნანა ჭიჭინაძე:** „ნითელწყაროში, მოსამსახურის ოჯახში დავიბადე, მამა დამსახურებული მექანიზატორი იყო, დედა კინოსტუდიის მთავარი ბუღალტერი. მშობლებმა ერთმანეთი ოპერაში, ქეთო და კოტეს სპექტაკლზე გაიცივნეს. მამაჩემი 2 წლის ასაკში დაიბოლდა და მამაჩემის დედის ძმამ, მიშა ნატროშვილმა მამაჩემი და მისი 1 წლის ძმა ნითელწყაროში წამოიყვანა, თავის 4 შვილთან ერთად მათაც ზრდიდა. ასე აღმოჩნდა ჩემი გვარი რაჭიდან დედოფლისწყაროში. მიშას ცოლი მანანა არისტოკრატი ქალი იყო, შეძლებული ოჯახი ჰქონდათ და ობლებს საკუთარი შვილებით ზრდიდნენ. იმდენად კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, მათმა შვილებმა დამამთავრებელ კლასში გაიგეს, რომ ისინი მათი ღვიძლი ძმები არ იყვნენ. მე მეორე შვილი ვარ, მშობლებს პირველი უფრო უყვარდათ, რადგან მას ოჯახური საქმეები ძალიან ეხერხებოდა, მე კი პირიქით. ლამარას ყველაფერი გამოსდიოდა, მე კი ვერაფერს ვახერხებდი. არადა, დედაჩემი ძალიან ხელმარჯვე ქალი იყო, შესანიშნავად ქსოვდა, ქარგავდა, კერავდა. უამრავი ნაქარგი ჰქონდა, მე კი ქოვავი ვერ ვისწავლე. უფრო სწავლაზე ვიყავი გადართული, სხვა ინტერესები მქონდა და არც მერიდებოდა ამის აღიარება. მეოთხე კლასში უკვე ზეპირად ვიცოდი შექსპირის ყველა ტრაგედია.“

### — როგორ და რატომ დაინტერესდით ოპერით?

